სსიპ კოლეჯ „აისის“ 2025 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში

კვლევის განმახორციელებელი:
სსიპ კოლეჯი „აისი“

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახური

2025 წელი

შინაარსი

შესავალი....3
კვლევის მიზნები....3
კვლევის ამოცანები....4
კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკური მხარე....4
კვლევის სამიზნე ჯგუფი....5
კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა პროგრამების მიხედვით....5
დემოგრაფიული მონაცემები....6
დასაქმების პროცენტული მჩვენებელი....7
პროფესიებზე დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი....8
კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა....18
კურსდამთავრებულთა სამუშაოს მახასიათებლები....19
პროფესიული პროგრამის შეფასება....20
სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის შეფასება....21
სწავლის პროცესში მიღებული კომპეტენციებისა და ზოგადი კმაყოფილების შეფასება....22
დასკვნა....23

შესავალი

კურსდამთავრებულთა კვლევა წარმოადგენს სწავლების რეალური შედეგების შეფასების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებას. იგი მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გრძელვადიანი ეფექტიანობისა და ხარისხის შესაფასებლად. კვლევის მეშვეობით მიიღება მრავალმხრივი ინფორმაცია კურსდამთავრებულთა შემდგომი პროფესიული და საგანმანათლებლო განვითარების შესახებ, მათ შორის განათლების გაგრძელების, დასაქმების, თვითდასაქმებისა და უმუშევრობის მიმართულებებით.

კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები აერთიანებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატუსის, კარიერული განვითარების, ასევე მათი შეფასებებისა და უკუკავშირის შესახებ. აღნიშნული მონაცემთა ბაზა წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შედეგიანობის სრულყოფილი ანალიზისა და შემდგომი განვითარებისათვის, რაც ხელს უწყობს როგორც პროგრამების გაუმჯობესებას, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის გაზრდას.

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნები

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზანია, შეისწავლოს მათი შრომის ბაზარზე ინტეგრაციის დონე, პროფესიული გამოცდილება და სწავლის პროცესით კმაყოფილების ხარისხი, რათა შეფასდეს კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობა.

კვლევა უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებას იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს სასწავლო რესურსები, სასწავლო გარემო, სწავლების მეთოდები და სასწავლო პროცესის სხვა კომპონენტები სწავლის შედეგებსა და კურსდამთავრებულთა პროფესიულ განვითარებაზე. ასევე, იგი იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და განისაზღვროს მათი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები მნიშვნელოვანია, როგორც ცალკეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწისა და განვითარებისათვის, ასევე, კოლეჯის ინსტიტუციური ხარისხის გაუმჯობესებისა და

სტრატეგიული განვითარების დაგეგმვისათვის. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ხარისხის შეფასებას, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და პროფესიული პროგრამების შემდგომ განვითარებას.

კვლევის ამოცანები

კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებია:

1. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა მიღებული განათლების, სწავლების ხარისხისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული სარგებლიანობის მიმართ.
2. კურსდამთავრებულთა შრომის ბაზრისთვის მზადყოფნისა და პროფესიულ საქმიანობაში მათი ჩართულობის შეფასება, მათ შორის დასაქმების, თვითდასაქმების, სტაჟირების, განათლების გაგრძელებისა და სხვა პროფესიული აქტივობების მიმართულებით.
3. სასწავლო პროცესის, პროგრამებისა და საგანმანათლებლო გარემოს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ განვითარებას.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეფასება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების საჭიროებებთან.

კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკური მხარე

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კვლევის პროცესში მობილიზებული იყო კოლეჯ „აისის“ შიდა ადამიანური რესურსი, ხოლო მონაცემთა შეგროვების ძირითად ტექნიკად გამოყენებულ იქნა სატელეფონო ინტერვიუ. ინფორმაციის მოპოვება განხორციელდა მეთოდოლოგიურად გამართული და წინასწარ შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფდა მონაცემთა ერთგვაროვან და სანდო შეგროვებას.

კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფი განისაზღვრა კოლეჯ „აისის“ და მისი ფილიალების 2025 წლის იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობით, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს სასწავლო პროგრამა და მოიპოვეს შესაბამისი კვალიფიკაცია.

2025 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა სსიპ კოლეჯ „აისის“ 21 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის 404 კურსდამთავრებულს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 380-მა კურსდამთავრებულმა ანუ საერთო რაოდენობის 94%-მა.



კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა პროგრამების მიხედვით

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით კოლეჯ „აისის“ 2025 წლის კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა ასე გამოიყურება:

	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის განხორციელების ადგილი	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	გამოკითხულთა რაოდენობა
1	იატაკისა და ფილის სამუშაოები	კაჭრეთი-11, ლაგოდეხი-14	25	23
2	მევენახეობა-მეღვინეობა	კაჭრეთი	13	12
3	ხის მხატვრული დამუშავება	კაჭრეთი	14	13
4	მევენახეობა-მეღვინეობა	კაჭრეთი	10	10

5	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	კაჭრეთი	6	6
6	ელექტროობა	კაჭრეთი-9, დედოფლისწყარო-26	35	33
7	თმისა და სილამაზის მომსახურება	კაჭრეთი-5, დედოფლისწყარო-22, ალვანი-23	50	46
8	ვეტერინარია	კაჭრეთი	14	13
9	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	კაჭრეთი	12	12
10	მეფუტკრეობა	კაჭრეთი-7, ლაგოდეხი-20	27	25
11	კულინარიის ხელოვნება	კაჭრეთი	14	13
12	სატყეო საქმე	კაჭრეთი-13, ლაგოდეხი-12	25	24
13	ინფორმაციის ტექნოლოგია	კაჭრეთი	8	8
14	შედუღება	დედოფლისწყარო	28	27
15	თექის დამზადება	დედოფლისწყარო-26, ალვანი-12	38	36
16	ქვის სამუშაოების წარმოება	დედოფლისწყარო	13	12
17	მებაღეობა	ლაგოდეხი	16	15
18	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	ლაგოდეხი	21	20
19	კერამიკული ნაკეთობის დამზადება	ალვანი	12	11
20	მხატვრული ქსოვილები	ალვანი	12	11
21	მომინანქრება	ალვანი	11	10
	სულ		404	380

დემოგრაფიული მონაცემები

გამოკითხული 380 კურსდამთავრებულიდან 138 იყო ქალი და 242 ვაჟი, რაც პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა: 36% ქალი და 64% ვაჟი.



დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი

კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ სსიპ კოლეჯ „აისის“ 2025 წლის 380 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 293, რაც შეადგენს გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 77%-ს. ამავე დროს, გამოკითხვის მომენტში უმუშევარი იყო 87 კურსდამთავრებული, რაც გამოკითხულთა 23%-ს შეადგენს.

აღნიშნული შედეგი მიუთითებს, რომ კოლეჯის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებით არის ინტეგრირებული შრომის ბაზარზე. ეს, ერთი მხრივ, ადასტურებს სასწავლო პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებს კურსდამთავრებულთა მიერ შეძენილი პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ ღირებულებაზე.



საინტერესო იყო კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატუსი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის. გამოიკვეთა, რომ 380 კურსდამთავრებულის საწყისი შრომითი სტატუსი იყო განსხვავებული. კერძოდ, რესპონდენტთა 7% დასაქმებული იყო იმ პროფესიული მიმართულებით, რომელ პროგრამაზეც შემდგომში ჩაირიცხა, ხოლო 9% იმავე მიმართულებით თვითდასაქმებული იყო. სხვა სფეროში დასაქმებულთა წილმა 21% შეადგინა, ხოლო სხვა მიმართულებით თვითდასაქმებულთა წილმა 14%. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა დაახლოებით ნახევარი (49%) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის არ მონაწილეობდა შრომით საქმიანობაში. დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა ერთობლივი წილი (51%) აჩვენებს, რომ პროფესიული პროგრამებით სარგებლობდნენ როგორც შრომის ბაზარზე უკვე ინტეგრირებული პირები, ასევე ისინი, ვინც საკუთარი კვალიფიკაციის გაუმჯობესებას ან პროფესიული მიმართულების შეცვლას ისახავდნენ მიზნად.

პროფესიებზე დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი

იატაკისა და ფილის სამუშაოების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც კოლეჯ „აისის“ კაჭრეთსა და ლაგოდეხის ფილიალში ხორციელდებოდა, დაასრულა და კვალიფიკაცია მიენიჭა 25 სტუდენტს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 23-მა, რომელთაგან დასაქმებული აღმოჩნდა 18 კურსდამთავრებული ანუ 78%, 5 კურსდამთავრებული არ მუშაობს, რაც შეადგენს 22%-ს.



2025 წელს მევენახეობა-მეღვინეობის დუალური საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა 13 სტუდენტმა და მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია. კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაწილეობა მიიღო 12-მა კურსდამთავრებულმა. კვლევის შედეგების მიხედვით, დასაქმებულია 11 კურსდამთავრებული. შესაბამისად, გამოკითხულ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 92%-ია.



რაც შეეხება, მევენახეობა-მეღვინეობის იმიტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც კაჭრეთის ბაზაზე ხორციელდება, 2025 წელს დაასრულა და შესაბამისი კვალიფიკაცია მიენიჭა 10 სტუდენტს. კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის შედეგების მიხედვით, დასაქმებულია 8 კურსდამთავრებული, რაც საერთო რაოდენობის 80%-ს შეადგენს. 2 კურსდამთავრებული არ არის დასაქმებული, რაც კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობის 20%-ს წარმოადგენს.



ხის მხატვრული დამუშავების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯ „აისის“ კაჭრეთსის ბზაზე ხორციელდება. 2025 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 14 სტუდენტს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 13-მა კურსდამთავრებულმა. დასაქმებულია 10, რაც შეადგენს კურსდამთავრებულთა 77%-ს. 3 ანუ 23% არ მუშაობს.



2025 წელს კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ინტეგრირებული პროფესიული პროგრამა დაასრულა და კვალიფიკაცია მიენიჭა 6 სტუდენტს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ყველა მათგანმა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, დასაქმებულია 4 კურსდამთავრებული, რაც გამოკითხულთა 67%-ს შეადგენს, ხოლო 2 კურსდამთავრებული (33%) არ არის დასაქმებული.



ელექტროობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯ „აისის“ კაჭრეთის ბაზაზე და დედოფლისწყაროს ფილიალში ხორციელდება. 2025 წელს კვალიფიკაცია აღნიშნულ პროგრამაზე მიენიჭა 35 სტუდენტს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 33-მა კურსდამთავრებულმა, რომელთაგან 28 ანუ 85% დასაქმებულია, 5 ანუ 15% არ მუშაობს. პროცენტული მაჩვენებლი ასახავს პროგრამის ეფექტიანობასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე მიუთითებს.



თმისა და სილამაზის მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (კაჭრეთში, დედოფლისწყაროსა და ალვანის ფილიალებში) 2025 წელს დაასრულა 50-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 46-მა. კვლევის შედეგების მიხედვით, დასაქმებულია 34 კურსდამთავრებული, რაც გამოკითხულთა 74%-ს შეადგენს, ხოლო 12 კურსდამთავრებული (26%) არ მუშაობს. დასაქმების 74%-იანი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებით არის ინტეგრირებული შრომის ბაზარზე.



ვეტერინარიის სპეციალობის მიმართულებით 2025 წელს კოლეჯ „აისის“ 14 სტუდენტს მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 13-მა კურსდამთავრებულმა. კვლევის შედეგების მიხედვით, დასაქმებულია 12, რაც გამოკითხულთა 92%-ს შეადგენს, ხოლო 1 (8%) არ მუშაობს. კურსდამთავრებულთა დასაქმების 92%-იანი მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი შედეგია და მიუთითებს პროგრამის ეფექტიანობასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.



მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც კაჭრეთის ბაზაზე ხორციელდება, 2025 წელს დაასრულა 12-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 10 ანუ 83%, არ მუშაობს 2 ანუ 17%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კაჭრეთისა და ლაგოდეხის ლოკაციებზე 2025 წელს დაასრულა 27-მა სტუდენტმა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 25-მა კურსდამთავრებულმა. კვლევის შედეგების მიხედვით, დასაქმებულია 17 მათგანი, რაც გამოკითხულთა 68%-ს შეადგენს, ხოლო 8 კურსდამთავრებული (32%) არ მუშაობს.



კულინარიის ხელოვნების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა 2025 წელს დაამთავრა 14-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 13-მა კურსდამთავრებულმა. კვლევის შედეგების მიხედვით, დასაქმებულია 12 მათგანი, რაც გამოკითხულთა 92%-ს შეადგენს, ხოლო 1 კურსდამთავრებული (8%) არ არის დასაქმებული. დასაქმების 92%-იანი მაჩვენებელი საკმაოდ კარგი შედეგია და მიუთითებს პროგრამის ეფექტიანობაზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობასა და კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობაზე.



სატყეო საქმის პროფესიული პროგრამა ხორციელდება კაჭრეთში და ლაგოდეხის ფილიალში. 2025 წელს ორივე ლოკაციაზე სწავლა დაასრულა 25-მა სტუდენტმა. კვლევაში მონაწილეობა 24-მა კურსდამთავრებულმა. კვლევის შედეგების მიხედვით, დასაქმებულია 19 კურსდამთავრებული, რაც გამოკითხულთა 79%-ს შეადგენს, ხოლო 5 კურსდამთავრებული (21%) არ არის დასაქმებული.



ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც კაჭრეთის ბაზაზე ხორციელდება, 2025 წელს დაასრულა 8 სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 6 ანუ 75%, არ მუშაობს 2 ანუ 25%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



შედუღების პროფესიული პროგრამა, რომელიც ხორციელდება კოლეჯ „აისის“ დედოფლისწყაროს ფილიალში, 2025 წელს დაასრულა 28 სტუდენტმა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 27-მა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 21 (78%), გამოკითხვის მომენტში არ მუშაობდა 6 (22%) კურსდამთავრებული.



თექის დამზადების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ალვანისა და დედოფლისწყაროს ფილიალებში 2025 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 38 სტუდენტს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 36-მა. მათგან 27 ანუ კურსდამთავრებულთა 75% დასაქმებულია, 9 ანუ 25% არ მუშაობს. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



ქვის სამუშაოების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დედოფლისწყაროს ფილიალში ხორციელდება, 2025 წელს დაასრულა 13-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 12-მა კურსდამთავრებულმა. მათგან 7 ანუ 58% დასაქმებულია, არ მუშაობს 5 კურსდამთავრებული, რაც შეადგენს 42%-ს. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ლაგოდეხის ფილიალში. 2025 წელს პროგრამა დაასრულა 16-მა სტუდენტმა. კვლევაში 15-მა კურსდამტავრებულმა მიიღო მონაწილეობა. დასაქმებულია 10 (67%) კურსდამთავრებული, არ მუშაობს 5 (33%) კურსდამთავრებული.



თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ლაგოდეხის ფილიალში ხორციელდება, 2025 წელს დაასრულა 21-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში 20-მა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 14 ანუ 70%, არ მუშაობს 6 ანუ კურსდამთავრებულთა 30%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



კერამიკული ნაკეთობის დამზადების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ალვანის ფილიალში ხორციელდება, 2025 წელს დაასრულა 12-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 11-მა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 9 ანუ 81%, არ მუშაობს 2 ანუ 19%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



მხატვრული ქსოვილების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ალვანის ფილიალში ხორციელდება, 2025 წელს დაასრულა 12-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 11-მა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 8 ანუ 73%, არ მუშაობს 3 ანუ 27%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



მომინანქრების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ალვანის ფილიალში ხორციელდება, 2025 წელს დაასრულა 12-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 11-მა კურსდამთავრებულმა. მათგან 8 (80%) დასაქმებულია, 2 კურსდამტავრებული ანუ 20% უმუშევარი, დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



2025 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა

	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის განხორციელების ადგილი	პროგრამის სწავლების ტიპი	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	გამოკითხულთა რაოდენობა	დასაქმებულია	არ მუშაობს	დასაქმების %-ული მაჩვენებელი
1	იატაკისა და ფილის სამუშაოები	კაჭრეთი-11, ლაგოდეხი-14	იმიტირებული	25	23	18	5	78%
2	მევენახეობა-მეღვინეობა	კაჭრეთი	დუალური	13	12	11	1	92%
3	ხის მხატვრული დამუშავება	კაჭრეთი	იმიტირებული	14	13	10	3	77%
4	მევენახეობა-მეღვინეობა	კაჭრეთი	იმიტირებული	10	10	8	2	80%
5	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	კაჭრეთი	ინტეგრირებული	6	6	4	2	67%
6	ელექტროობა	კაჭრეთი-9, დედოფლისწყარო-26	იმიტირებული	35	33	28	5	85%

7	თმისა და სილამაზის მომსახურება	კაჭრეთი-5, დედოფლისწყარო-22, ალვანი-23	კოოპერაციული	50	46	34	12	74%
8	ვეტერინარია	კაჭრეთი	იმიტირებული	14	13	12	1	92%
9	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	კაჭრეთი	იმიტირებული	12	12	10	2	83%
10	მეფუტკრეობა	კაჭრეთი-7, ლაგოდეხი-20	იმიტირებული	27	25	17	8	68%
11	კულინარიის ხელოვნება	კაჭრეთი	იმიტირებული	14	13	12	1	92%
12	სატყეო საქმე	კაჭრეთი-13, ლაგოდეხი-12	კოოპერაციული	25	24	19	5	79%
13	ინფორმაციის ტექნოლოგია	კაჭრეთი	იმიტირებული	8	8	6	2	75%
14	შედუღება	დედოფლისწყარო	იმიტირებული	28	27	21	6	78%
15	თექის დამზადება	დედოფლისწყარო-26, ალვანი-12	იმიტირებული	38	36	27	9	75%
16	ქვის სამუშაოების წარმოება	დედოფლისწყარო	იმიტირებული	13	12	7	5	58%
17	მებაღეობა	ლაგოდეხი	იმიტირებული	16	15	10	5	67%
18	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	ლაგოდეხი	იმიტირებული	21	20	14	6	70%
19	კერამიკული ნაკეთობის დამზადება	ალვანი	იმიტირებული	12	11	9	2	82%
20	მხატვრული ქსოვილები	ალვანი	იმიტირებული	12	11	8	3	73%
21	მომინანქრება	ალვანი	იმიტირებული	11	10	8	2	80%
	სულ			404	380	293	87	77%

კურსდამთავრებულთა სამუშაოს მახასიათებლები

დასაქმებული კურსდამთავრებულების სამუშაოს მახასიათებლების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა არჩეულ პროფესიასთან დაკავშირებული მოლოდინების გამართლება, პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების ფლობა, სამუშაოსა და მიღებულ პროფესიულ კვალიფიკაციას შორის შესაბამისობა, ასევე კარიერული განვითარების პერსპექტივები.

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული კურსდამთავრებულების უმრავლესობისთვის (75%) არჩეულ პროფესიასთან დაკავშირებული მოლოდინები გამართლდა. რესპონდენტთა 16%-მა აღნიშნა, რომ პროფესიულმა გამოცდილებამ და საქმიანობამ მათ თავდაპირველ მოლოდინებს გადააჭარბა, ხოლო 8%-ის შეფასებით, არჩეული პროფესია სრულად ვერ შეესაბამა მათ მოლოდინებს. კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ 1%-ს გაუჭირდა.

ამჟამინდელი სამუშაოსა და მიღებულ პროფესიულ კვალიფიკაციას შორის შესაბამისობის შეფასებისას, კურსდამთავრებულთა 75%-მა აღნიშნა, რომ მათი სამუშაო სრულად შეესაბამება მიღებულ კვალიფიკაციას. რესპონდენტთა 14%-ის შეფასებით, მათი კვალიფიკაცია აღემატება იმ მოთხოვნებს, რომელსაც არსებული სამუშაო პოზიცია ითვალისწინებს, ხოლო 11%-მა მიუთითა, რომ მათი საქმიანობა უფრო მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს, ვიდრე ამჟამად ფლობენ.

მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია საკუთარი პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამის სფეროში. ამასთან, მათი შეფასებები მიუთითებს პროფესიული განათლების მნიშვნელოვან როლზე დასაქმებისა და კარიერული განვითარების პროცესში, რაც ადასტურებს მიღებული განათლების პრაქტიკულ ღირებულებას და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მის შესაბამისობას.

პროფესიული პროგრამების სარგებლიანობის შეფასება

კოლეჯ „აისის“ კურსდამთავრებულთათვის პროფესიული პროგრამების სარგებლიანობის შეფასება განხორციელდა ოთხი ძირითადი მიმართულებით: ადეკვატური სამუშაოს მოძიება, პროფესიული მოვალეობების ეფექტიანად შესრულება, კარიერული განვითარება და პიროვნული ზრდა. კვლევის შედეგებმა ყველა მიმართულებით დადებითი შეფასებების მაღალი მაჩვენებელი გამოავლინა.

გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 72%-მა პროფესიული პროგრამები შეაფასა როგორც „ძალიან სასარგებლო“, ხოლო 23%-მა როგორც „სასარგებლო“. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა პროფესიულ განათლებას მნიშვნელოვან რესურსად აღიქვამს როგორც დასაქმების, ისე პროფესიული და პიროვნული განვითარების თვალსაზრისით. ამასთან, რესპონდენტთა 4%-მა პროგრამის სარგებლიანობა შეაფასა როგორც „ნაწილობრივ სასარგებლო“. მხოლოდ 1%-მა აღნიშნა, რომ პროგრამა მისთვის „არ იყო სასარგებლო“.

შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ კოლეჯ „აისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კურსდამთავრებულთა პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე, შრომის ბაზარზე ადაპტაციასა და კარიერული შესაძლებლობების გაფართოებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 95%-მა პროგრამები

დადებითად („ძალიან სასარგებლო“ ან „სასარგებლო“) შეაფასა, რაც საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და მათი პრაქტიკული ღირებულების მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს.

კვლევის შედეგები ადასტურებს კოლეჯ „აისის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მაღალ ეფექტიანობას. კურსდამთავრებულთა შეფასებები მიუთითებს, რომ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა, პრაქტიკული უნარები და პროფესიული კომპეტენციები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც დასაქმების შესაძლებლობების ზრდას, ისე კარიერულ წინსვლასა და პიროვნულ განვითარებას. აღნიშნული შედეგები ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები ეფექტიანად პასუხობს როგორც კურსდამთავრებულთა პროფესიულ საჭიროებებს, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც პროფესიული განათლების ხარისხისა და შედეგიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის შეფასება

კურსდამთავრებულთა შეფასებების ანალიზი ცხადყოფს, რომ კოლეჯში შექმნილი სასწავლო გარემო და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი რესპონდენტთა უმრავლესობის მიერ პოზიტიურად არის შეფასებული. კვლევის შედეგების მიხედვით, ყველაზე მაღალი შეფასება მასწავლებელთა კვალიფიკაციამ და პროფესიონალიზმმა მიიღო, რომელიც დადებითად შეაფასა კურსდამთავრებულთა 93%-მა. მაღალი კმაყოფილებით გამოირჩევა ასევე დაწესებულების ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობა და შშმ და სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო, რომლის მიმართ კმაყოფილება გამოთქვა რესპონდენტთა 95%-მა.

სწავლების ხარისხი დადებითად შეაფასა კურსდამთავრებულთა 91%-მა, ხოლო სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობით კმაყოფილია რესპონდენტთა 90%. ექსტრაკურიკულური აქტივობები დადებითად შეაფასა კურსდამთავრებულთა 86%-მა, რაც მიუთითებს, რომ კოლეჯი სტუდენტებს პროფესიული განვითარების გარდა დამატებითი ცოდნის, უნარებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობასაც სთავაზობს.

საგანმანათლებლო პროცესში მრავალმხრივი კომუნიკაციის შესაძლებლობა, სტუდენტთა მოსაზრებების გათვალისწინება და მათი ჩართულობა როგორც სასწავლო პროცესის, ისე დაწესებულების მართვის საკითხებში, დადებითად შეაფასა

რესპონდენტთა 84%-მა. აღნიშნული შედეგი ადასტურებს, რომ კოლეჯში ეფექტიანად ფუნქციონირებს სტუდენტთა მონაწილეობისა და უკუკავშირის მექანიზმები.

მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულები პროფესიული განათლების ხარისხს დადებითად აფასებენ როგორც აკადემიური პროცესის, ისე საგანმანათლებლო და სოციალური გარემოს სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით. განსაკუთრებით მაღალია კმაყოფილების დონე სწავლების ხარისხის, პროფესიული კომპეტენციის მქონე აკადემიური პერსონალის, თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს მიმართ.

ზოგადად, კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ კოლეჯში შექმნილი საგანმანათლებლო გარემო ეფექტიანად უწყობს ხელს სტუდენტთა პროფესიულ, პიროვნულ და სოციალურ განვითარებას. კურსდამთავრებულთა მაღალი კმაყოფილების მაჩვენებლები მიუთითებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ხარისხიან საგანმანათლებლო პროცესს და ქმნის პროფესიული განათლებისთვის ხელსაყრელ სასწავლო გარემოს.

სწავლის პროცესში მიღებული კომპეტენციებისა და ზოგადი კმაყოფილების შეფასება

კვლევის ფარგლებში კურსდამთავრებულებს მიეცათ შესაძლებლობა შეეფასებინათ, რამდენად შეუწყო ხელი სწავლის პროცესმა სხვადასხვა პროფესიული და ზოგადი კომპეტენციების განვითარებას. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს სწავლის პერიოდში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პროფესიული ცოდნის განვითარება აღნიშნა კურსდამთავრებულთა 88%-მა, პროფესიული უნარებისა და პრაქტიკული კომპეტენციების გაუმჯობესება 86%-მა. ასევე მაღალი შეფასებები დაფიქსირდა გუნდური მუშაობის (83%), განსხვავებულ გარემოებებთან და პირობებთან ადაპტაციის (81%) და სწავლის უნარის განვითარების (79%) მიმართულებით. პრობლემების გადაჭრის უნარის გაუმჯობესება აღნიშნა რესპონდენტთა 77%-მა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარება 75%-მა, კომპიუტერული უნარების გაძლიერება 74%-მა, შემოქმედებითი აზროვნებისა და ახალი იდეების გენერირების უნარის განვითარება 72%-მა, ხოლო მეწარმეობრივი უნარების განვითარება 69%-მა.

აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ სწავლის პროცესმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კურსდამთავრებულთა პროფესიული და ზოგადი კომპეტენციების განვითარებაში. განსაკუთრებით მაღალი შეფასებები პროფესიული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და გუნდური მუშაობის მიმართულებით აჩვენებს, რომ მიღებული განათლება ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა მომზადებას პროფესიული საქმიანობისთვის.

რაც შეეხება სწავლის პროცესით ზოგად კმაყოფილებას, კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ კოლეჯში სწავლის პერიოდი და გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დადებითად შეაფასა. რესპონდენტები განსაკუთრებით გამოყოფენ პრაქტიკული სწავლების მნიშვნელობასა და რეალურ სამუშაო გარემოსთან დაახლოებულ სასწავლო პროცესს, რომელმაც ხელი შეუწყო მათი პროფესიული უნარების განვითარებას და დასაქმებისთვის უკეთ მომზადებას.

ამასთანავე, გამოიკვეთა რეკომენდაციები პრაქტიკული კომპონენტის კიდევ უფრო გაძლიერებისა და ცალკეული პროგრამების თანამედროვე მოთხოვნებთან მეტად შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით. მიუხედავად აღნიშნული საკითხებისა, კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ კურსდამთავრებულთა საერთო კმაყოფილების დონე მაღალია და ისინი კოლეჯში მიღებულ განათლებას მნიშვნელოვნად აფასებენ როგორც პროფესიული განვითარების, ისე კარიერული წინსვლის თვალსაზრისით.

დასკვნა

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევა კოლეჯ „აისს“ საშუალებას აძლევს სისტემურად შეაფასოს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი, პროფესიული პროგრამების ეფექტიანობა და მათი გავლენა კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაზე. კოლეჯ „აისის“ 2025 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ დასაქმების საერთო მაჩვენებელი მაღალია და შეადგენს 77%-ს, რაც მიუთითებს პროფესიული განათლების მნიშვნელოვან როლზე კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის პროცესში.

კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობას პროფესიული განათლების მიმართ ჰქონდა პოზიტიური მოლოდინები, რომლებიც სწავლის პროცესში ძირითადად გამართლდა. კურსდამთავრებულები დადებითად აფასებენ

კოლეჯში არსებულ სასწავლო გარემოს, ინფრასტრუქტურას, სასწავლო რესურსებსა და პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობებს. მათი შეფასებით, მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფესიული უნარების განვითარებაში, დასაქმების შესაძლებლობების ზრდასა და შემდგომ პროფესიულ წინსვლაში.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ სწავლის პროცესმა ხელი შეუწყო კურსდამთავრებულთა როგორც პროფესიული, ისე ზოგადი კომპეტენციების განვითარებას. განსაკუთრებით მაღალი შეფასებები დაფიქსირდა პროფესიული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და გუნდური მუშაობის მიმართულებით, რაც ადასტურებს პროგრამების პრაქტიკულ ორიენტაციას და მათ შესაბამისობას თანამედროვე პროფესიული განათლების მოთხოვნებთან. ამასთანავე, კურსდამთავრებულთა შეფასებები ცხადყოფს, რომ მიღებული განათლება მათთვის მნიშვნელოვანია პროფესიული თვითრეალიზაციისა და კარიერული განვითარების თვალსაზრისით.

კურსდამთავრებულთა საერთო კმაყოფილების შეფასებამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს კოლეჯში სწავლის პერიოდსა და გავლილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. განსაკუთრებით აღინიშნა პრაქტიკული სწავლების მნიშვნელობა და რეალურ სამუშაო გარემოსთან დაახლოებული სასწავლო პროცესი, რაც ხელს უწყობს პროფესიული საქმიანობისთვის უკეთ მომზადებას. ამასთანავე, კვლევის შედეგად გამოიკვეთა განვითარების მიმართულებები, რომლებიც ძირითადად უკავშირდება პრაქტიკული კომპონენტის კიდევ უფრო გაძლიერებას, პროგრამების განახლებასა და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათ მუდმივ შესაბამისობას.

მთლიანობაში, კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ კოლეჯი „აისი“ ეფექტიანად ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიული კომპეტენციების განვითარებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათი დასაქმების, კარიერული ზრდისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში. მიღებული შედეგები წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს როგორც არსებული საგანმანათლებლო პრაქტიკის შეფასებისთვის, ისე პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების დაგეგმვისთვის.